ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 50 კითხვაში

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

KAT

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 50 კითხვაში

მოცემული დოკუმენტი მომზადდა სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ და სასამართლოსათვის სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. იგი შეიცავს ზოგად საბაზისო ინფორმაციას სასამართლოს მუშაობის შესახებ.

დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, გაეცნოთ სასამართლოს სამდივნოს მიერ მომზადებულ დოკუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია სასამართლოს ვებგვერდზე www.echr.coe.int.

© European Court of Human Rights, 2021

European Court of Human Rights
Council of Europe
67075 Strasbourg cedex
France

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

1 როდის მიიღეს კონვენცია?

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომელიც უკეთაა ცნობილი როგორც "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია" ხელმოსაწერად გაიხსნა რომში 1950 წლის 4 ნოემბერს; იგი ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს.

კონვენციამ მოიცვა უფლებების ნაწილი, რაც ასახული იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და შექმნა საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელსაც მიენიჭა იურისდიქცია, დაგმოს სახელმწიფოები, რომლებიც არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

2 რა არის კონვენციის ოქმი?

კონვენციის ოქმი გახლავთ დოკუმენტი, რომელიც კონვენციის თავდაპირველ ვერსიას ამატებს ერთ ან მეტ უფლებას ან ცვლის მის გარკვეულ დებულებებს.

ოქმები, რომელთა საშუალებითაც კონვენციას ემატება უფლებები, სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოთათვის, რომლებიც მას ხელს მოაწერენ და რატიფიცირებას გაუკეთებენ; სახელმწიფო, რომელიც ოქმს მხოლოდ ხელს მოაწერს რატიფიცირების გარეშე, არ არის შებოჭილი მისი დებულებებით.

დღემდე მიღებულია 14 დამატებითი ოქმი.

3 რომელ უფლებებს იცავს კონვენცია?

სახელმწიფოებმა, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება და ხშირად მოიხსენებიან, როგორც "მონაწილე სახელმწიფოები", იკისრეს ვალდებულება, დაიცვან და უზრუნველყონ მათი იურიდსიქციის ფარგლებში მყოფი არა მხოლოდ მათი მოქალაქეების, არამედ ყველა პირის, კონვენციით განსაზღვრული ფუნდამენტური სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა.

კონვენციით დაცული უფლებები და თავისულებები მოიცავს სიცოცხლის უფლებას, საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას და საკუთრების დაცვას. კონვენცია კრძალავს წამებას და არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელს, იძულებით შრომას, თვითნებურ და უკანონო პატიმრობას და დისკრიმინაციას კონვენციით დაცული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობისას.

4 კონვენცია ვითარდება?

დიახ. კონვენცია ვითარდება, განსაკუთრებით კი მისი დებულებების ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტების გზით. პრეცედენტული სამართლის მეშვეობით სასამართლომ კონვენცია ცოცხალ ინსტრუმენტად აქცია; შესაბამისად, მან განავრცო დაცული უფლებები და გამოიყენა ისინი იმგვარ ვითარებებში, რაც კონვენციის მიღებისას არ იყო წინასწარ განჭვრეტადი.

კონვენცია ასევე განვითარდა ოქმების საშუალებით, როცა მას დაემატა ახალი უფლებები: მაგალითად, 2003 წლის ივლისში, მე-13 ოქმი სიკვდილით დასჯის სრული გაუქმების შესახებ, ან 2005 წლის აპრილში მიღებული მე-12 ოქმი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.

5 ვალდებული არიან თუ არა ეროვნული სასამართლოები გამოიყენონ კონვენცია?

კონვენცია გამოყენებადია ეროვნულ დონეზე. იგი წარმოადგენს იმ მონაწილე სახელმწიფოთა კანონმდებლობის ნაწილს, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება, დაიცვან კონვენციით განსაზღვრული უფლებები. ეროვნულმა სასამართლოებმა, შესაბამისად, უნდა გამოიყენონ კონვენცია. სხვა შემთხვევაში, ადამიანის

ხშირად დასმული კითხვები

უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს დაუდგენს კონვენციის დარღვევას პირის მიერ მისი უფლებების ნაგულვები დარღვევის შესახებ სასამართლოში წარდგენილი ინდივიდუალური საჩივრის საფუძველზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

6 როგორია სასამართლოს შემადგენლობა?

სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა უტოლდება კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა როდენობას.

7 როგორ ხდება მოსამართლეთა არჩევა?

მოსამართლეებს ირჩევს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა თითოეული სახელმწიფოს მიერ წარდგენილი სამი კანდიდატიდან. ისინი აირჩევიან ერთჯერადად ცხრა წლის ვადით.

8 მოსამართლეები მართლაც დამოუკიდებლები არიან?

მართალია მოსამართლეები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოებიდან, ისინი საქმეებს ინდივიდუალური უფლებამოსილებით იხილავენ და ამ დროს არ წარმოადგენენ კონკრეტულ სახელმწიფოს. ისინი არიან სრულიად დამოუკიდებელი და არ არიან უფლებამოსილი, ჩაერთონ რაიმე საქმიანობაში, რომელიც შეუსაბამოა მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებასთან.

9 მოსამართლეები განიხილავენ თუ არა საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ საქმეებს?

“ეროვნული მოსამართლეები” არ არიან უფლებამოსილი, განიხილონ საქმეები ერთი-მოსამართლის ფორმაციაში. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია, ისინი მიწვეულ იქნან კომიტეტში დასასწრებად. თუმცა სასამართლოს შემადგენლობა ყოველთვის მოიცავს “ეროვულ მოსამართლესაც”, როცა საქმე იხილება შვიდი მოსამართლისაგან შემდგარი პალატის ან ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარი დიდი პალატის მიერ.

10 რა როლი აქვს სამდივნოს და როგორ მუშაობს ის?

სამდივნო არის თანამშრომელთა გუნდი, რომელიც სასამართლოს უწევს იურიდიულ და ადმინისტრაციულ მხადაჭერას მის სამართლებრივ საქმიანობაში. სამდინვო შედგება იურისტების, ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალისა და თარჯიმნებისაგან.

11 რამდენია სასამართლოს ბიუჯეტი?

სასამართლოს ხარჯები გაიწევა ევროპის საბჭოს მიერ, რომლის ბიუჯეტიც ფინანსდება წევრ სახელმწიფოთა კონტრიბუციებით. კონტრიბუციების ოდენობა განისაზღვრება მოსახლეობისა და მთლიანი შიდა პროდუქტის შესაბამისად.

სასამართლოს ბიუჯეტი ფარავს მოსამართლეთა და თანამშრომელთა ხელფასებს და სხვა დამატებით ხარჯებს (IT, ოფიციალური მგზავრობა, თარგმნა, გამოცემები, წარმომადგენლობითი ხარჯები, იურიდიული დახმარება, ფაქტების დამდგენი მისიები, ა.შ.)

12 შესაძლებელია სასამართლოს შემადგენლობა განსხვავდებოდეს საქმის მიხედვით?

დიახ. საქმეები განიხილება ოთხიდან ერთ-ერთი ფორმაციის მიერ.

აშკარად მიუღებელი საჩივრები განიხილება ერთი მოსამართლის ფორმაციის მიერ. სამი მოსამართლისგან შემდგარმა კომიტეტმა შესაძლებელია, ერთხმად მიიღოს გადაწყვეტილება საქმის დასაშვებობასა და არსებით მხარეზე იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებში წამოჭრილ საკითხებზეც უკვე არსებობს სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკა. საჩივარი შესაძლებელია, გადაეცეს შვიდი მოსამართლისგან შემდგარ პალატას, რომელიც უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას საქმის დასაშვებობასა და არსებით მხარეზე.

გამონაკლის შემთხვევებში, 17 მოსამართლისაგან შემდგარი დიდი პალატა მისთვის გადაცემულ საქმეებს განიხილავს პალატის მიერ იურისდიქციის დათმობის ან საქმის დიდი პალატისთვის გადაცემის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

13 რა განსხვავებაა პალატასა და სექციას შორის?

სექცია ადმინისტრაციული ერთეულია, ხოლო პალატა კი მოცემულ სექციაში სასამართლოს სამართლებრივი ფორმაციაა.

სასამართლო შედგება ხუთი სექციისგან, რომლებშიც ყალიბდება პალატები. ყოველ სექციას ჰყავს პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და სხვა მოსამართლეები.

14 როგორ ყალიბდება პალატისა და დიდი პალატის შემადგენლობა?

პალატა შედგება იმ სექციის პრეზიდენტისაგან, რომელსაც გადაეცა საქმე, “ეროვნული მოსამართლისაგან” (მოსამრთლე, რომელიც არჩეულია იმ სახელმწიფოდან, რომლის წინაღმდეგაა შეტანილი საჩივარი) და ხუთი სხვა მოსამართლისაგან, რომლებიც განისაზღვრება სექციის პრეზიდენტის მიერ როტაციის პრინციპით.

დიდი პალატა შედგება სასამართლოს პრეზიდენტისაგან და ვიცე-პრეზიდენტებისაგან, სექციის პრეზიდენტებისაგან, ეროვნული მოსამართლისა და სხვა მოსამართლეებისაგან, რომლებიც შეირჩევა წილის ყრის შედეგად. გადაცემული საქმის განხილვისას, დიდი პალატის შემადგენლობაში არ შევა არც ერთი ის მოსამართლე, ვინც იყო იმ პალატის წევრი, რომელმაც პირველად განიხილა საქმე.

15 როდის ხდება საქმის დიდი პალატის მიერ განხილვა?

დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა ორ გზით ხორციელდება: გადაცემა და იურისდიქციის დათმობა.

მას შემდეგ, რაც მიღებულია პალატის გადაწყვეტილება, მხარეებმა შესაძლებელია, მოითხოვონ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა. ამგვარი მოთხოვნა კმაყოფილდება გამონაკლის შემთხვევებში. დიდი პალატის მოსამართლეთა კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას, უნდა მოხდეს თუ არა საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

საქმეები დიდ პალატაში იგზავნება მაშინაც, როცა პალატა თმობს იურისდიქციას, რაც ასევე გამონაკლის შემთხვევებში ხდება. პალატა, რომლის მიერაც უნდა მოხდეს საქმის განხილვა, უფლებამოსილია, დათმოს იგი დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმე ეხება სერიოზულ საკითხს, რომელმაც შესაძლოა, გავლენა მოახდინოს კონვენციის განმარტებაზე ან თუ არსებობს სხვა საქმეში სასამართლოს მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებასთან შეუსაბამობის საფრთხე.

16 შესაძლებელია მოსამართლემ უარი თქვას საქმის განხილვაზე?

დიახ. მოსამართლეები ვალდებული არიან, თავი შეიკავონ იმ საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან, რომელშიც მათ ადრე რაიმე ფორმით მიუღიათ მონაწილეობა. ამას ჰქვია საქმის აცილება. აღნიშნული მოსამართლეები იცვლებიან სხვა მოსამართლით და ad hoc მოსამართლე ინიშნება, თუ აცილებას ეროვნული მოსამართლე ითხოვს.

17 ვინ არის ad hoc მოსამართლე?

ad hoc მოსამართლე ინიშნება მთავრობის მიერ მაშინ, როცა ეროვნულ მოსამართლეს არ შეუძლია საქმის განხილვაში მონაწილეობა აცილების გამო.

18 როგორია სასამართლოს იურისდიქცია?

სასამართლო საკუთარი ინიციატივით ვერ აწარმოებს საქმეებს. მას აქვს იურისდიქცია, განიხილოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სავარაუდო დარღვევების შესახებ საქმეები, რომლებსაც იგი იღებს ინდივიდუალური ან სახელმწიფოთაშორისი საჩივრების სახით.

საქმისწარმოება სასამართლოს წინაშე

19 ვის შეუძლია საქმის შეტანა სასამართლოში?

კონვენცია განასხვავებს ორი ტიპის საჩივრებს: ინდივიდუალური საჩივარი, წარდგენილი ნებისმიერი პირის, პირთა ჯგუფის, კომპანიის ან არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ასაჩივრებს მისი უფლების დარღვევას და სახელმწიფოთაშორისი საჩივარი, შეტანილი ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეს წინააღმდეგ.

სასამართლოს დაარსების შემდეგ მის წარმოებაში არსებული თითქმის ყველა საქმე ინდივიდუალურ საჩივარს ეხება. ეს საჩივრები მომჩივნებმა უშუალოდ სასამართლოში წარადგინეს ამტკიცებდნენ რა კონვენციის ერთ ან მეტ დარღვევას.

20 ვის წინააღმდეგ ხდება საჩივრის შეტანა?

სასამართლოში საჩივრის შეტანა შესაძლებელია კონვენციის მონაწილე ერთი ან მეტი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ნებისმიერი საჩივარი, რომელიც მიმართულია, მაგალითად, კონვენციის არაწევრი სახელმწიფოს ან კერძო პირის წინააღმდეგ, დაუშვებლად გამოცხადდება.

21 როგორ ხდება საჩივრის შეტანა სასამართლოში?

სასამართლოში საჩივრის შეტანა შესაძლებელია უშუალოდ პირის მიერ და სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ადვოკატის ყოლა აუცილებელი არაა. საკმარისია, სასამართლოში გაიგზავნოს ჯეროვნად შევსებული საჩივრის ფორმა, რომელსაც თან დაერთვება ყველა საჭირო დოკუმენტი. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის რეგისტრაცია სასამართლოს მიერ არ გულისხმობს დასაშვებობის ეტაპზე ან არსებითი მხარის განხილვისას მისი წარმატების გარანტიას.

კონვენციის სისტემა უზრუნველყოფს სასამართლოსადმი წვდომის "სიმარტივეს", აძლევს რა ნებისმიერ პირს საშუალებას, შეიტანოს საჩივარი მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრობს წევრი სახელმწიფოს მიუდგომელ რეგიონში და მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა საკმარისი სახსრები. ამის გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ საქმისწარმოებისათვის არ არის დაწესებული რაიმე სახის გადასახადი.

ხშირად დასმული კითხვები

22 რა განსხვავებაა ინდივიდუალურ და სახელმწიფოთაშორის საჩივრებს შორის?

სასამართლოში სარჩელთა უმრავლესობა ფიზიკური პირების მიერ წარიდგინება. სახელმწიფო უფლებამოსილია შეიტანოს სარჩელი კონვენციის მეორე წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ; სწორედ ამას ჰქვია სახელმწიფოთა-შორისი სარჩელი.

23 სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას აუცილებელია ადვოკატის ყოლა?

სამართალწარმოების საწყის ეტაპზე ადვოკატის ყოლა არ არის აუცილებელი; ნებისმიერ პირს შეუძლია, სასამართლოში საჩივარი თავად შეიტანოს. ადვოკატის დახმარება სავალდებულო ხდება მას შემდეგ, რაც სასამართლო მოპასუხე მთავრობას საქმის შესახებ აცნობებს და სთხოვს მოსაზრებების წარმოდგენას. ამ ეტაპიდან, საჭიროების შემთხვევაში, მომჩივანს შესაძლოა, მიეკუთვნოს იურიდიული დახმარება.

24 ვინ არის უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე წარადგინოს მოსაზრებები?

სასამართლოს არ გააჩნია ავტორიზებულ ადვოკატთა სია, ვისაც შეუძლია წერილობითი თუ ზეპირი მოსაზრებების წარმოდგენა სასამართლოში. მომჩივანი შესაძლებელია, წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი პირის მიერ, ვისაც აქვს იურისტად მუშაობისთვის საჭირო კვალიფიკაცია კონვენციის ერთ-ერთ წევრ სახელმწიფოში, ან ვისაც პალატის პრეზიდენტი მიანიჭებს უფლებამოსილებას, წარმოადგინოს პირი.

25 სასამართლოში საქმის განხილვის რა ეტაპები არსებობს?

სასამართლოში საქმის განხილვის ორი მთავარი ეტაპია: დასაშვებობის ეტაპი და საქმის არსებითად განხილვის ეტაპი (ანუ სასარჩელო მოთხოვნების განხილვა). სამართალწარმოებისას საჩივრები გაივლის სხვადასხვა ფაზას.

ერთი მოსამართის ფორმაციის შემთხვევაში, საჩივარი დაუშვებლად ცხადდება, როცა მისი დაუშვებლობა თავიდანვე აშკარაა; ერთი მოსამართლის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კომიტეტი საბოლოო განჩინებას ან გადაწყვეტილებას საქმეზე იღებს მაშინ, როცა საქმე ეხება ისეთ საკითხს, რაზეც არსებობს სასამართლოს დამკვიდრებული პრეცედენტული სამართალი.

პალატა საქმის შესახებ შეტყობინებას უგზავნის მოპასუხე მთავრობას, რომ ამ უკანასკნელმა საკუთარი არგუმენტები წარმოადგინოს. წერილობით მოსაზრებებს ორივე მხარე წარმოადგენს. სასამართლო შემდეგ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად მიზანშეწონილია საჯარო მოსმენის ჩატარება. თუმცა ვინაიდან საჯარო მოსმენა ტარდება გამონაკლისის სახით, საჩივრების უმრავლესობის შემთხვევაში საქმის ზეპირი განხილვა არ ხდება. შემდეგ, პალატა იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც საბოლოო ხდება მხოლოდ იმ სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომლის განმავლობაშიც მომჩივანსა და მთავრობას უფლება აქვთ, მოითხოვონ საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა ხელახალი განხილვისათვის.

თუკი გადაცემის მოთხოვნა დაკმაყოფილდება დიდი პალატის მიერ, საქმე ხელახლა განიხილება და საჭიროების შემთხვევაში ტარდება საჯარო მოსმენა. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.

26 საქმის დასაშვებობის რა პირობებია დადგენილი?

იმისათვის რომ საჩივარი დასაშვებად ჩაითვალოს, საჭიროა, რამდენიმე მოთხოვნის დაკმაყოფილება; სხვა შემთხვევაში, საჩივრები არ იქნება არსებითად განხილული.

საქმე სასამართლოში შესაძლებელია წარდგენილ იქნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოწურული იქნება შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებანი; ანუ, პირმა, რომელიც ასაჩივრებს მისი უფლების დარღვევას, პირველ რიგში, საჩივარი უნდა შეიტანოს მისი ქვეყნის სასამართლოებში და მიაღწიოს უმაღლეს ინსტანციას. ამგვარად სახელმწიფოს მიეცემა შესაძლებლობა, თავად გამოასწოროს სავარაუდო დარღვევა ეროვნულ დონეზე.

მომჩივნის პრეტენზიები უნდა ეხებოდეს კონვენციით განსაზღვრული ერთი ან მეტი უფლების სავარაუდო დარღვევას. სასამართლო ვერ განიხილავს საჩივრებს, რომლებიც ეხება ისეთი უფლებების დარღვევას, რაც კონვენციაში არაა მოცემული.

საჩივრები სასამართლოში წარდგენილი უნდა იქნას ოთხი თვის ვადაში საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, რაც, როგორც წესი, გულიხსმობს ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

მოსარჩელე პირადად და უშუალოდ უნდა წარმოადგენდეს კონვენციის დარღვევის მსხვერპლს და განცდილი უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ზიანი.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რა თქმა უნდა, რომ საჩივრის წარდგენა ხდება კონვენციის მხოლოდ ერთი ან მეტი წევრი სახელმწიფოს წინააღმდეგ და არა რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან ინდივიდის მიმართ.

27 არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოებს შეუძლიათ თუ რა საქმისწარმოებაში მონაწილეობის მიღება?

დიახ, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებს, ისე სახელმწიფოებს შეუძლიათ საჩივრის შეტანა. გარდა ამისა, სასამართლოს პრეზიდენტის მიერ მათ შეიძლება მიენიჭოთ უფლებამოსილება, საქმეში ჩაერთონ მესამე მხარედაც.

28 რას ნიშნავს მესამე მხარედ ჩართვა?

სასამართლოს პრეზიდენტმა ნებისმიერ პირს (გარდა მომჩივნისა) ან კონვენციის ნებისმიერ სხვა წევრ სახელმწიფოს (გარდა საქმეში მოპასუხე სახელმწიფოსი), შესაძლებელია, მისცეს უფლება, ჩაერთონ სამართალწარმოებაში. ამას ეწოდება მესამე მხარედ ჩართვა. მოცემული პირი ან სახელმწიფო უფლებამოსილია, წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღოს საჯარო განხილვაში.

29 შესაძლებელია სასამართლომ დანიშნოს ექსპერტები ან მიიღოს ჩვენებები მოწმეებისაგან?

დიახ. გამონაკლის შემთხვევებში, სასამართლომ შესაძლებელია, გადაწყვიტოს საგამოძიებო ზომების გამოყენება და ჩავიდეს კონკრეტულ ქვეყნებში, რომ დააზუსტოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები. სასამართლო დელეგაციამ შესაძლებელია, დაკითხოს მოწმეები და ჩაატაროს ადგილზე მოკვლევა.

რიგ შემთხვევებში სასამართლო ნიშნავს ექსპერტებს, მაგალითად როდესაც სთხოვს ექსპერტ ექიმებს შეამოწმონ მომჩივანი ციხეში.

ხშირად დასმული კითხვები

30 სასამართლო ატარებს საქმის საჯარო მოსმენას?

სასამართლო უპირატესად წერილობით პროცედურას მიმართავს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, პერიოდულად ღია მოსმენასაც ატარებს.

საქმის მოსმენა ტარდება ადამიანის უფლებათა შენობაში, სტრასბურგში. მოსმენა, როგორც წესი, საჯაროა, თუკი საქმიდან გამომდინარე დიდი პალატის პრეზიდენტი განსხვავებულ გადაწყვეტილებას არ იღებს. პრესა და საზოგადოება, როგორც წესი, უფლებამოსილია დაესწროს განხილვას; ამისათვის საკმარისია პრესის ან პირადობის მოწმობის წარმოდგენა მისაღებში.

ყველა საჯარო მოსმენა იწერება და გადაიცემა სასამართლოს ვებ-გვერდზე მოსმენის დღესვე, ადგილობრივი დროით 14.30 საათიდან.

31 რას ნიშნავს პირველადი პრეტენზიები?

პირველადი პრეტენზიები არის მოპასუხე მთავრობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები, როცა იგი ამტკიცებს თუ რატომ არ უნდა იქნას მოცემული საქმე არსებითად განხილული.

32 რა არის მორიგება?

მორიგება არის შეთანხმება მხარეებს შორის, რომ დასრულდეს საჩივართან დაკავშირებული სამართალწარმოება. როცა მხარეები თანხმდებიან დავის მორიგებით მოგვარებაზე, როგორც წესი, შედეგად მომჩივანი სახელმწიფოსაგან იღებს გარკვეულ თანხას. მორიგების პირობების განხილვის შემდეგ და თუ იგი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების პატივისცემა არ მოითხოვს საქმისწარმოების გაგრძელებას, სასამართლო საქმეს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხავს.

სასამართლო ყოველთვის მოუწოდებს მხარეებს აწარმოონ მოლაპარაკებები მორიგების მისაღებად. თუ მორიგება ვერ მოხდება, სასამართლო საჩივარს არსებითად განიხილავს.

33 შესაძლებელია სასამართლომ დააწესოს დროებითი ღონისძიება?

როდესაც სასამართლო იღებს საჩივარს, იგი უფლებამოსილია, გადაწყვიტოს, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს გარკვეული დროებითი ღონისძიებები, სანამ სასამართლო განაგრძობს საქმის განხილვას. აღნიშნული, როგორც წესი, მოიცავს სახელმწიფოსადმი მითითებას, თავი შეიკავოს რაიმე ქმედებისაგან. მაგალითად, არ დააბრუნოს ინდივიდი იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს საფრთხე, რომ პირის სიცოცხლეს ხელყოფენ ან იგი წამებას დაექვემდებარება.

34 სასამართლო თათბირი საჯაროა?

არა, სასამართლო თათბირი ყოველთვის საიდუმლოა.

35 სახელმწიფოებს როდესმე უარი განუცხადებიათ სასამართლოსთან თანამშრომლობაზე?

ყოფილა შემთხვევები, როცა სახელმწიფოებს არ დაუკმაყოფილებიათ სასამართლოს მოთხოვნა ან უარი განუცხადებით სასამართლოსათვის საჩივრის განსახილველად საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდებაზე.

ასეთ შემთხვევაში, სასამართლომ, შესაძლებელია, დაადგინოს სახელმწიფოს მიერ კონვენციის 38-ე მუხლის (სახელმწიფოს ვალდებულება, სასამართლო უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საშუალებით).

36 ჩვეულებრივ რამდენი ხანი გრძელდება სასამართლოში საქმის განხილვა?

რთულია ზუსტი ხანგრძლივობის განსაზღვრა.

სასამართლო ვალდებულებას კისრულობს, საქმე განიხილოს მისი შემოტანიდან სამი წლის ვადაში. თუმცა რიგი საქმეების განხილვას, შესაძლოა, მეტი დრო დასჭირდეს, ხოლო ზოგი კი უფრო მალე იქნას განხილული.

სასამართლოში საქმის წარმოების ხანგრძლივობა განსხვავდება და დამოკიდებულია უშუალოდ საქმის გარემოებებზე, თუ რომელი ფორმაცია განიხილავს მას, საქმეში ჩართულ მხარეთა მიერ სასამართლოსათვის ინფორმაციის მიწოდების სისწორესა და სხვა მრავალ ფაქტორზე, მათ შორის იმაზე, ჩატარდება თუ არა საქმის საჯარო მოსმენა ან გადაეცემა თუ არა საქმე დიდ პალატას.

რიგი საჩივრებისა, შესაძლებელია, დაკვალიფიცირდეს როგორც სასწრაფო და განხილულ იქნას დაჩქარებული წესით. ეს განსაკუთრებით ეხება საქმეებს, სადაც მომჩივანს ემუქრება ფიზიკური ზიანის აშკარა საფრთხე.

სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი

37 რა განსხვავებაა განჩინებასა და გადაწყვეტილებას შორის?

განჩინება, როგორ წესი, გამოიცემა ერთი მოსამართლის, კომიტეტის ან სასამართლო პალატის მიერ. იგი ეხება მხოლოდ საჩივრის დასაშვებობას და არ მოიცავს საქმის არსებით ნაწილს. როგორც წესი, პალატა განიხილავს სარჩელის დასაშვებობასა და არსებით ნაწილს ერთდროულად; ამის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების გამოტანა.

38 სავალდებულოა თუ არა სახელმწიფოებისათვის მათ წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილება?

დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილება სავალდებულოა საქმეში მოპასუხე სახელმწიფოსათვის და ქვეყანას აქვს მისი აღსრულების ვალდებულება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი მონიტორინგს უწევს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, განსაკუთრებით კი - სახელმწიფოს მიერ მომჩივნისთვის იმ თანხის გადახდას, რომელიც სასამართლომ განსაზღვრა დამდგარი ზიანის საკომპენსაციოდ.

39 შესაძლებელია გადაწყვეტილებათა გასაჩივრება?

საჩივრის დაუშვებლობის შესახებ განჩინებანი ისევე, როგორც კომიტეტისა თუ დიდი პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი საბოლოოა და მათი გასაჩივრება შეუძლებელია. თუმცა პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის ვადაში მხარეებს შეუძლიათ, მოითხოვონ საქმის ხელახალი განხილვისთვის მისი დიდი პალატისათვის გადაცემა. დიდი პალატისათვის საქმის გადაცემის მოთხოვნა განიხილება მოსამართლეთა კოლეგიის მიერ, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას რამდენად მიზანშეწონილია საქმის დიდი პალატისთვის გადაცემა.

40 როგორ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულება?

მას შემდეგ რაც სასამართლო გამოიტანს დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებას, სასამართლო საქმეს გადასცემს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც შესაბამის სახელმწიფოსთან და გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე პასუხისმგებელ დეპარტამენტთან ერთად გადაწყვეტს, როგორ უნდა მოხდეს აღსრულება და მომავალში როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული კონვენციის მსგავსი

ხშირად დასმული კითხვები

დარღვევები. შედეგად საჭიროების შესაბამისად განისაზღვრება გასატარებელი ზოგადი, როგორიცაა, მაგალითად, საკანონმდებლო ცვლილებები, და ინდივიდუალური ღონისძიებები.

41 რა შედეგი აქვს დარღვევის დამდგენ გადაწყვეტილებას?

დარღვევის დადგენის შემთხვევაში მოცემული სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მსგავსი დარღვევები აღარ განმეორდება, რადგან სხვა შემთხვევაში სასამართლო მის წინააღმდეგ ახალ გადაწყვეტილებებს გამოიტანს. გარკვეულ შემთხვევებში სახელმწიფო ვალდებული იქნება, მისი კანონმდებლობა შეცვალოს, რომ ის კონვენციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.

42 რა არის სამართლიანი დაკმაყოფილება?

როცა სასამართლო სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიტანს გადაწყვეტილებას და აღნიშნავს, რომ მომჩივანს მიადგა ზიანი, იგი მას აკუთვნებს სამართლიან დაკმაყოფილებას, ანუ გარკვეულ თანხას მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ.

მინისტრთა კომიტეტი უზრუნველყოფს, რომ სასამართლოს მიერ მიკუთვნებულ ნებისმიერ თანხას მომჩივანს რეალურად გადაუხდიან.

43 რა არის საპილოტო საქმე?

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სასამართლომ შეიმუშავა ახალი პროცედურა იმ მრავლობით საქმესთან დაკავშირებით, რომლებიც იდენტურ საკითხებს ეხება - ამ ტიპის საკითხებს ხშირად უწოდებენ "სისტემურ პრობლემებს" - ანუ საქმეები, რომლებიც წარმოიშობა ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შეუსაბამობის გამო.

სასამართლომ, შესაბამისად, ახლახან დაადგინა პროცედურა, რომელიც გულისხმობს ერთი ან მეტი მსგავსი ტიპის საჩივრის განხილვას, მაშინ როცა სხვა მსგავსი საქმეების განხილვა შეჩერდება (ანუ გადაიდება). საპილოტო საქმეში გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, სასამართლო მოუწოდებს მთავრობას, შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კანონმდებლობა კონვენციასთან და მიუთითებს მისაღები ზოგადი ღონისძიებების შესახებ. ამის შემდეგ, იგი უბრუნდება სხვა მსგავს საქმეებს.

44 რა არის განცალკევებული მოსაზრება?

მოსამართლეებს, შესაძლებელია, სურდეთ მოსაზრების დაწერა საქმეზე, რომლის განხილვაშიც ისინი მონაწილეობას იღებდნენ. ასეთ შემთხვევაში მათი მოსაზრება თან ერთვის გადაწყვეტილებას. ზოგადად, ამგვარ მოსაზრებაში ისინი ხსნიან, თუ რატომ მიემხრნენ უმრავლესობას (თანმხვედრი მოსაზრება) ან, პირუკუ, თუ რატომ არ დაეთანხმნენ მოსამართლეთა უმრავლესობას (განსხვავებული მოსაზრება).

სასამართლოს საქმიანობა

45 რამდენი საქმე არის შეტანილი სასამართლოში?

სასამართლო საკუთარი წარმატების მსხვერპლია: ყოველ წელს მას წარედგინება 50 000 ახალი საჩივარი. სასამართლოს რიგ გადაწყვეტილებათა შედეგები და მისი საქმიანობის მზარდი აღიარება წევრ სახელმწიფოთა მოქალაქეებს შორის, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სასამართლოში ყოველწლიურად წარდგენილ საქმეთა რაოდენობაზე.

46 რომელ უფლებებს ეხება საქმეთა უმრავლესობა?

სასამართლოს დაფუძნების შემდეგ, დარღვევის დამდგენი გადაწყვეტილებების დაახლოებით ნახევარი ეხება კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევას, რაც მოიცავს დარღვევებს როგორც სამართალწარმოების სამართლიანობის კუთხით, ისე - ხანგრძლივობის თვალსაზრისით.

სასამართლოს მიერ დადგენილ დარღვევათა 58% ეხება მე-6 მუხლს (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) ან პირველი ოქმის 1-ელ მუხლს (საკუთრების დაცვა). ამის შემდეგ, საქმეთა დაახლოებით 11% ეხება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების (სიცოცხლის უფლება და წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) სერიოზულ დარღვევებს.

47 დროებითი ღონისძიებები მართლა ეფექტიანია?

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის ემორჩილებიან სასამართლოს მოთხოვნას დროებითი ღონისძიებების შესახებ, არსებობს შემთხვევები, როცა ადგილი აქვს უმოქმედობას, მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ხშირად ადგენს სახელმწიფოების მიერ კონვენციის 34-ე მუხლით ნაკისრი ვალდებულების დარღვევას (ინდივიდუალური საჩივრის უფლება).

48 სასამართლო განიხილავს საზოგადოებრივ საკითხებს?

რა თქმა უნდა, სასამართლოს მოუწია იმ საკითხების განხილვა, რომელთა წინასწარ განჭვრეტაც შეუძლებელი გახლდათ 1950 წელს, ანუ მაშინ, როცა კონვენციას მოეწერა ხელი. გასული 50 წლის განმავლობაში სასამართლომ არაერთ საზოგადოებრივ საკითხზე გამოიტანა გადაწყვეტილება, მათ შორის: აბორტთან დაკავშირებული საკითხები, სხვისი დახმარებით თვითმკვლელობა, ჩხრეკა სხეულის გაშიშვლებით, საშინაო მონობა, უფლება არ აეკრძალოს პირს მისი წარმოშობის შესახებ ინფორმაციის მიღება დედების მიერ ანონიმურად გაჩენის შედეგად, ისლამური თავსაბურავის ტარება სკოლებსა და უნივერსიტეტებში, ჟურნალისტების ინფორმაციის წყაროს დაცვა, ბოშების წინააღმდეგ დისკრიმინაცია და გარემოსდაცვითი საკითხები.

სასამართლოს მომავალი

49 რას ეხება მე-14 ოქმი?

მე-14 ოქმი, რომლის მიზანიც გახლავთ სასამართლოს ხანგრძლივი ეფექტიანობის გარანტირება სარჩელების გაფილტრვისა და დამუშავების გზით, ქმნის ახალ სამართლებრივ მეთოდს, ყველაზე მარტივი საქმეები განხილულ იქნას დასაშვებობის ახალი კრიტერიუმით ("მნიშვნელოვანი ზიანი") და ამასთანავე, ზრდის მოსამართლედ ყოფნის ვადას 9 წლამდე, მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობის გარეშე. მოცემული ოქმი ძალაში 2010 წლის 1 ივნისს შევიდა.

50 რა რეფორმა იგეგმება?

მე-14 ოქმისაგან დამოუკიდებლად, კონვენციის სისტემის შემდეგი რეფორმა საჭიროდ იქნა მიჩნეული და "ბრძენ პირთა" ჯგუფმა, რომელიც შედგებოდა ცნობილი იურისტებისაგან, მინიტრთა კომიტეტს წარუდგინა ანგარიში 2006 წლის ნოემბერში. ჯგუფის ერთ-ერთი რეკომენდაცია იყო, შექმნილიყო ახალი სასამართლო ფილტრაციის მექანიზმი და შემუშავებულიყო წესდება, რომელიც შეეხებოდა სასამართლოს ფუნქციონირების გარკვეულ ორგანიზაციულ ელემენტებს, რომელთა შედეგადაც შესაძლებელი იქნებოდა ცვლილებების უფრო მოქნილად განხორციელება, ვიდრე ამას კონვენციით გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელების პროცესი ადგენს. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მუდმივმოქმედი კომიტეტი განიხილავს სხვადასხვა შეთავაზებებს.

EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

www.echr.coe.int